KA021753058127020

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/20963 07 / აპრილი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“)), საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) და მეორე მხრივ შპს „უნიმედი კახეთს“ (უფლებამონაცვლე სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (ს/კ 404476205)) (შემდგომში „მყიდველი“) შორის 2011 წლის 11 აგვისტოს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“). ხელშეკრულების თანახმად მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- უზრუნველყოს დანართი № 5-ით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლის განმავლობაში და დანართ № 5-ში განსაზღვრული სპეციფიური პირობების გათვალისწინების და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით (მუხლი 3.1.7).

ხელშეკრულების 4.4 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულად ითვლება სამინისტროს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, სააგენტოს მიერ მისი დადასტურების მომენტიდან. სამინისტრო ვალდებულების შესრულების შესახებ დასკვნას სააგენტოს წარუდგენს იმ შემთხვევაშიც, თუ ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გამოვლინდა სერვისების ალტერნატიული მიმწოდებელი, ამავე მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების მოქმედების პერიოდის განმავლობაში.

გაცნობებთ, რომ თელავის მუნიციპალიტეტთან მიმართებით გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლიანი ვადა დასრულდა 2020 წლის 31 მარტს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულების თაობაზე ინფორმაცია მოწოდებულია 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით დროის პერიოდზე, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტთან მიმართებით გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან 7 წლიანი ვადა დასრულდა 2020 წლის 31 მარტს, გთხოვთ სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხელშეკრულების 4.4 მუხლის თანახმად მოგვაწოდოთ დასკვნა მყიდველის მიერ ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების 04.12.2018 წლიდან 31.03.2020 წლის ჩათვლით პერიოდში შესრულების შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით 2011 წლის 11 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებას.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

სახელშეკრულებო ვალდებულებათა
მონიტორინგის სამსახურის უფროსი

დიმიტრი შანიძე